

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

02 მსიცი 2018 წ.

თბილისი

№ 24/01

„თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ თსსუ-ის რექტორის 2012 წლის 12 ივნისის #47/01 და 2016 წლის 25 აპრილის #74/01 ბრძანებებში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების 14-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის 2012 წლის 12 ივნისის #47/01 ბრძანებით დამტკიცებულ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საქმისწარმოების წესში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:
 - 1.1. პირველ მუხლს დაემატოს მე-6 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით
 6. „საქმისწარმოება ხორციელდება როგორც ელექტრონულად, ისე მატერიალური ფორმით“.
 - 1.2. მესამე მუხლის მე-3, მე-10, მე-11, მე-13, მე-15 და მე-17 პუნქტებში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
 3. „უნივერსიტეტში დოკუმენტების რეგისტრაცია ცენტრალიზებულია და დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი განისაზღვრება პროგრამულად“.
 10. „ხელმძღვანელობის მიერ განხილული დოკუმენტაცია სათანადო რეზოლუციით და რეზოლუციის შესაბამისად გადაეცემა ქვედანაყოფის უფროსს ან დოკუმენტის მიღებაზე პასუხისმგებელ პირს“.

11. „მატერიალურ დოკუმენტზე მუშაობის დამთავრებისას, პირველი გვერდის ქვედა მინდორზე ან, თუ ამის საშუალება არ არის, ცალკე ფურცელზე შემსრულებელი აკეთებს მოკლე ჩანაწერს დავალების შესრულების შედეგების შესახებ. მაგ. „გაიგზავნა პასუხი რიცხვი“ „გათვალისწინებულ იქნა დადგენილებაში (სხვა დოკუმენტში“, გამოიკა ბრძანება და ა.შ. და წარუდგენს ქვედანაყოფის უფროსს“.
13. „ინფორმაციას ელექტრონული დოკუმენტის შესრულების შედეგების შესახებ ელექტრონულ პროგრამაში ასახავს დოკუმენტის შემსრულებელი“.
15. „საქმე იხსნება კალენდარული წლის დასაწყისში. შესრულებული დოკუმენტი ინომრება გვერდების მიხედვით“.
17. „ქვედანაყოფში საქმე ინახება 3 წლის განმავლობაში, შემდეგ შესანახად ბარდება არქივს“.
- 1.3. მეშვიდე მუხლის მე-4 პუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით
 4. „დავალებები, რომლებიც სრულდება რამდენიმე სტრუქტურული ქვედანაყოფის მიერ გადაეცემათ ერთდროულად ელექტრონულად, ან/და ასლების მეშვეობით“.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის 2012 წლის 12 ივნისის #47/01 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე #74/01. 25.04.2016წ. ბრძანების პუნქტები 1.3. და 1.6.
3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს რექტორის აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს ს. ბადალაშვილს.
4. ბრძანება დაეგზავნოს: კანცლერს, ვიცე-რექტორებს, კანცლერის მოადგილეებს, რექტორის აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს, კანცლერის აპარატის უფროსს და უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურულ ერთეულს.



პროფესორი ზურაბ ორჯონიკიძე

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი